სახალხო გაზეთი

№ 1078 შაბათი, 28 დეკემბერი 1913 წ. № 1078

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდ. პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირს 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 20 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ.

ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

გამართულია ხელის მოწერა 1914 წლისათვის

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„სახალხო გაზეთი"

წელიწადი მეხუთე

წელიწადი მეხუთე

1914 წელსაც გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდის გამოდიოდა და გაზეთს ექნება

კვირაობით **სურათებიანი დამატება** კვირაობით

პრემიად 1914 წლის ხელის მომწერნი, ე. ი. ისეთები, რომელნიც მთელი წლის საფასურს გადაიხდიან, ან წინდაწინვე განაცხადებენ გაზეთის კანტორაში, რომ წლიური ხელის მომწერნი არიან, 1914 წლის განმავლობაში მიიღებენ

სამს წიგნს

პირველი წიგნი „ქართველი მწერლები", რომელშიაც დაბეჭდილი იქნება: 1. „უფლისწული მეფენი" ისტორიული დრამა ხუთ მოქმედებად **სანდრო შანშიაშვილისა**. 2. „**მიმქრალი შარავანდედი**" ისტორიული რომანი **ვ. ბარნოვისა** დასხ.

მეორე წიგნი „უცხოეთის მწერლები", რომელშიაც დაიბეჭდება: „**დონ-კარლოსი**", ტრაგედია შილერისა, თარგმანი გერმანულით **სანდრო შანშიაშვილისა** და სხვა ნაწარმოებნი უცხოეთის მწერლებისა.

მესამე წიგნი სამეცნიერო კრებული ორიგინალური და ნათარგმნი წერილები.

გაზეთის ფასი	წლით	11 თვით	10 თვით	9 თვით	8 თვით	7 თვით	6 თვით	5 თვით	4 თვით	3 თვით	2 თვით	1 თვით
ტფილისში და მის გარედ. . . .	8 მ. 50 კ.	8 მ. — „	7 მ. 50 კ.	6 მ. 75 კ.	6 მ. — „	5 მ. 25 კ.	4 მ. 50 კ.	3 მ. 75 კ.	3 მ. — „	2 მ. 25 კ.	1 მ. 50 კ.	— 75 კ.
საზღვარ-გარედ.	15 მ. — „	13 მ. 75 კ.	12 მ. 50 კ.	11 მ. 25 კ.	10 მ. — „	8 მ. 75 კ.	7 მ. 50 კ.	6 მ. 25 კ.	5 მ. — „	3 მ. 75 კ.	2 მ. 50 კ.	1 მ. 25 კ.

ცალკე ნომერი ყველგან შაურად; დამატებიანი შვიდი კაპეიკად.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი ქალაქიდან ქალაქ გარედ, ან ქალაქ გარეთისა ისევ ქალაქ გარეთისაზე 40 კაპ., დანარჩენ შემთხვევაში ადრესის გამოცვლა უფასოა. იმ ხელის მომწერმა, რომელიც **სამივე პრემიის** მიღებას **ფოსტით** მოისურვებს, გასაგზავნ ხარჯად უნდა გამოგზავნოს ხელის-მოწერის ფასთან ერთად კიდევ **სამი აბაზი**. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

ხელის მოწერის პირობები: 1) წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი (8 მან. 50 კაპ.) შეუძლიანთ გადაიხადონ ნაწილობით, მხოლოდ აუცილებლად შემდეგს ვადებზე: ხელის მოწერისათანავე 3 მან., 1 აპრილამდე 2 მ., 1 თიბათვემდე 2 მან., 1 ენკენისთვემდე 1 მან. 50 კაპ., 2) გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1914 წლის გასულისა.

ხელის მოწერა გამართულია: 1) „სახალხო გაზეთი"-ს კანტორაში (სასახლის ქუჩა, სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან), რომელიც ღიაა დილით 9—3 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა-უქმეებისა. 20 დეკემბრიდან კი ღია იქნება: დილის 9 ს.-დან საღ. 8 ს.-მდე, კვირაობით და დღესასწაულებში დილ. 11 ს.-დან ნაშუადღევის 3 ს. 2) ქ. შ. წ.-კ. გამავ. საზოგ. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში: სასახ. ქუჩაზე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ Груз. газ. „Сахалхо Газети" поч. ящ. 190.

1914 წ. მიიღება ხელის მოწერა საყმაწვილო სურათებიან ჟურნალ

„ნაკადულზე"

წელიწ. მეათე.

(1914 წ. 1-ლი იანვრიდან 1915 წ. 1-ლ იანვრამდე).

ტფილისი, გოლოვინის პროსპექტი, № 8, შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან № 2.

ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდის გამოდიოდა:

მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი, მოზრდილთათვის 12 წიგნი.

36 **სურათი**, წიგნის პირველ გვერდზე მოთავსებული. ჟურნალშიაც მოთხრობები და სამეცნიერო-წერილები დასურათებულია.

საჩუქრად ორივე გამოცემის წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემა წიგნი:

„ელვის ქვრა და ცეცხლის მფრქვეველი მთები",

(მრავალი სურათებით), **გითრგა ანთელიძისა.**

ჟურნალს ხელმძღვანელობას უწევს საგანგებოდ არჩეული კომისია.

ფასი ჟურნალისა: ორივე გამოცემა წლიურად—5 მ., ნახევარი წლით—3 მ., საზღვარ-გარედ—7 მ., ნახევარი წლით—4 მან., მცირე წლოვანთათვის ცალკე 3 მ., მოზრდილთათვის—3 მ. ხელის მოწერა მიიღება წლიურად და ნახევარი წლით. **ხელის-მოწერა შეიძლება:**

ტფილისში: „ნაკადულის" რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი, გოლოვინის პროსპექტი, № 8, Редакція „Накадули", Головинскій просп. № 8, და წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. მაღაზიაში, სასახლის ქუჩა. **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან, **სამტრედიაში**—ვლ. ნაცვალიძესთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან, ტროფიმ ინასარიძესთან და ანასტასია ლომინაძესთან. **ოზურგეთში** და **ლანჩხუთში**—ლელო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაპაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასო აბველდიანთან, ნინო გულაშვილთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში**—ნინო ლომაურთან და ქეთევან ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ქიათურაში**—ივანე გომელაურთან, **განჯაში**—ბ. ამბოკაძესთან, **ერევანში**—კ. ოდიშარიასთან, **ყარსში**—ივ. საათაშვილთან, **ალექსანდროპოლში**—ს. შატბერაშვილთან, **როსტოვში**—მ. კლიმიაშვილთან, **ხონში**—მ. ი. ჭავჭანიძესთან.

ვთხოვთ ხელის მომწერლებს, ადრესი **გარჩევით** დასწერონ, თუ ჟურნალი არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და დროზე შეგვატყობინონ ბინის გამოცვლა.

1631 რედაქტორი **ნ. ნაკაშიძე.** გამომც. **თ-დ პ. თუმანიშვილი.**

ბერლინის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა

გ. მეჯრაბიანცი

და ბრუნდა უცხოეთიდან და განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება. სნეულებანი ფილტვებისა—**ჭლექი**—და გულისა. შეთანაბრებული სპეციფიური **ტუბერკულინური წამლობა. ხელოვნური პნევმოტორაქსი. რენტგენის ელვარებური სხივებით ფილტვებისა და გულის გაშინჯვა.**

ყოველ დღე, 9—1 საათ. და საღამოს 6—7 საათ. კვირაობით 9—12 საათ.

9—10 სათ. **საწყალებს უფასოდ.**

ბებუთოვის ქ. სახ. 23, ტელეფონი 7—92. 1516

გორის პ[illegible] კერძო სამკ[illegible]ლო

[illegible]რდაპირ ტფილისიდ[illegible]

ქირურგიულ და ტერაპევტიულ (შინსტალის უფებათა)

განყოფილებებიაგრებისა, ე

კუთხე სობოროსი და სემინარიის ქუჩისა, სახლხოდის პირსა.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია გაზნი[illegible]ოლით.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოვ[illegible] დროს.

გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:

კობერიძე მ. ხ. ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.

წინამძღვარიშვილი მ. დ. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე.

მესხიშვილი ს. ს. ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

ბრიუკნერი მ. მ. თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფ. ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

ვინზბურგი ა. ლ. კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.

რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ., ცალკე ოთახი 4 მ.

ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.

სამკურნალოს ამ ცოტა ხანში ექნება მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორიას. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა, აგრეთვე ათაშანგის Wasserman-ი. **წამლობა „606", „914".** 1604

პრობკის სამანუფაქტურო სააქციონერო საზოგადოების

ვიკანდერ და ლარსონ-ის განყოფილება ტფილისში

ურჩევს მშენებლებს:

„ლიბავის ლინოლეუმ"-ს ერთფერს,

„ ლინოლეუმს ჯავარიან ქვის მსგავსს.

„ ლინოლეუმს მარმარილოს მაგვარს.

„ ლინოლეუმს სახიანს.

„ ლინოლეუმს შავს — საკლასო დაფისათვის.

„ ლინოლეუმს საფენს.

„ ლინოლეუმს ხალიჩას

იატაკისა და ტალანის, ვაგონისა და სხვა ოთახებ. მოსაფენად.

ლინკრუსტს—კედლის საუცხოვო შპალიერად.

პრობკებს ყველა ხარისხისას.

ბოთლების კაპსულებს.

საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ნაწარმოებს ახალ სახიან კლიონკას.

დასურათებულს პრეისკურანტებს, სმეტას და ნიმუშებს მოთხოვნილებისათანავე უფასოდ ვგზავნით.

კანტორა და საწყობი ტფილისში, გოლოვინის პროსპექტი № 9.

1646

სადღესასწაულო რეპერტუარი ქართული თეატრი **სადღესასწაულო რეპერტუარი**

ქართულ დრამატ. საზოგად. დასის ძიერ

I) **კვირას, 29 დეკემბ.,**

დილით

მესამეთ საბავშვო წარმოდგენა

პრინცი მელორე

პიესა 4 მოქ. ანდერსენისა, თარგმ. მ. ქორელისა.

ადგილების ფასი დაკლებულია.

რეჟისორი **მ. ქორელი.**

საღამოთი

ქ-ნ ნ. ჩხეიძის მონაწილეობით მეორედ ახალი პიესა რომაელთა ცხოვრებიდან

დამარცხებული რომი,

პიესა 5 მ. პაროდისა, თარგ. გ. შალიკაშვილ.

ახალი დეკორაციები, ახალი ტანისამოსი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

რეჟის. **გ. შალიკაშვილი.**

II) **ოთხშაბ., 1 იანვარს,** 1914 წ.

ალექსანდრე ყაზბეგის სახსოვრად

I რეპერტუარი

II არსენა

დრ. 3 მოქ. ალ. ყაზბეგისა, (მოჩხუბარიძისა).

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

რეჟისორი **მ. ქორელი.**

III) **ხუთშაბ., 2 იანვარს,** 1914 წ.

საიუბილეო წარმოდგენა.

ქართული თეატრის დაარსების 64 წლის თავი.

1) „**ქართული თეატრი**"—წაიკითხავს ი. ბარათაშვილი; 2) „**დაბა**",—მე-3 მოქ. გ. ერისთავისა 3) „**სამშობლო**",—მე-5 მოქ. დ. ერისთავისა; 4) „**მსხვერპლი**", 1 მოქმ. ი. გედევანიშვილისა. ადგილ. **ფასი** მომატ.

რეჟის. **გ. შალიკაშვილი.**

V) შაბათს, 4 იანვარს, ქ-ნ **ნ. ჩხეიძის** მონაწილეობით

მარგარიტა გოტიე,

დრ. 5 მოქ. დიუმასი, თარგ. გუნიასი და იმედაშვილისა.

ადგილ. ფასი ჩვეულებრივი.

რეჟისორი **მ. ქორელი.**

ყველა გამოცხადებულ წარმოდგენ. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

ადმინ. ქართ. დრამ. საზოგ. გამგეობისა.

ზუბალაშვილის სახლის სახალხო სახლთან არსებული

ქართული წარმოდგენების მმართველი წრის

გამგეობა

უმორჩილესად სთხოვს ყველა

იმ ინტელიგენტ სცენის მოყვარე ქალებს და ვაჟებს,

ვისაც სურვილი აქვს სცენაზე მოღვაწეობისა, გაუწიონ დახმარება აღნიშნულ წრეს და მიიღონ მონაწილეობა წარმოდგენის მართვის საქმეში. გამგეობა დარწმუნებულია, მის მოწოდებას უყურადღებოდ არ დასტოვებენ და მსურველნი ჩაეწერებიან წრის კანტორაში, მიხეილის პროსპექტი № 102, **რეჟისორ ალ. წუწუნავასთან,** ყოველ დღე საღამოს 6 საათიდან.

1652

ახალი კლუბი

31 დეკემბერს 1913 წ. ვ. გ. ვალერიანოვის რეჟისორობით დაიდგმება

მეფე ლხინოვს

ოპერეტკა 1 მოქ. მუსიკა ხელსონისა.

მონაწილეობენ: ქ-ნნი პრესინსკისა, ერნი, მიხაილოვისა; ბ-ნნი ვალერიანოვი, საბინი, ანტონოვი და ოსტროვი.

ლოტბარობს პრესმანი.

2) ქართულად:

ადვოკატთან,

ღამის 12 საათზე **აპოთეოზი,**

ახალი წლის შეხვედრა

12 საათის შემდეგ **კაბარე.**

ადგილების ფასი თეატრში: პარტერში 1 მ.-დან 30 კ.-დე. ქანდარაზე—40—20 კ.-დე. სტუმრები შესასვლელად იხდიან კაცები—1 მ. ქალები—50 კ. სტუდენტები—25 კ. ვახშმისათვის მაგიდის დასაჭერად ვთხოვთ კლუბის კანტორაში ჩაეწერნენ, თითო მაგიდაზე (4 ადგილი) უნდა გადაიხადონ 2 მ.

ანონსი: 30 დეკემ., კლუბის წევრთა და მუდმივ მოსიარულეთა **ბავშვებისათვის** საღამოს 5 საათზე გაიმართება „**შობის ხე**". 1635

ახალ კლუბთან

არსდება ქალთა და ვაჟთა მომღერალთა გუნდი

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ და ჩაეწერნენ კლუბის დირექტორ

ს. ი. პრესმანთან.

ყოველ დღე დილით 12 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე, ხოლო

საღამოთი 9 საათიდან ღამის 11 [illegible]

დიმიტრი ზოსიმეს ძე ცეცხლაძე შვილებითურთ, მღვდელი ანტონ და ივანე ზოსიმეს ძენი ცეცხლაძენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, გარდაცვალებას—პირველი დაუვიწყარის მეუღლისას, მეორენი—საყვარელ დედისას და მესამენი ძვირფასი რძლის

სოფიო გიორგის ასულის ცეცხლაძისას.

პანაშვიდი ყოველ დღე საკუთარს სახლში. ცხედარს ქ. ოზურგეთიდან გაასვენებენ ს. შემოქმედში კვირას, 29 დეკემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე. 1655

კვირას, 29 დეკემბერს, გარდაცვალების მეორმოცე დღეს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, გარდახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულ

თ-დ ვასილ ალექსანდრეს ძის ფალავანდიშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც ნათესავთა და ნაცნობთ აუწყებს **დედა გარდაცვალებულისა შვილებით.** წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი 12 საათზე. 908

უღრმეს მადლობას ვსწირავ როგორც ბაქოს ქართულ კოლონიას, ისე ყველას, ვინც ჩემის მეუღლის

ნინოს

უდროოდ გარდაცვალების გამო დაკრძალვაზე პირადის დასწრებით, დეპეშით თუ წერილობით ნუგეში მცეს.

რაჟდენ სოლომონის ძე ნაცვლიშვილი.

„ახალი კლუბის“ მამასახლისთა საბჭო

აცხადებს კლუბის წევრთა და მუდმივ მოსიარულეთა საყურადღებოდ, რომ **უკანასკნელ ვადად 1914 წლისათვის საწევრო ბილეთების განახლებისა დანიშნულია ამ წლის 20 დეკემბერი.** ვინც თავის დროზე საწევრო ბილეთებს არ განაახლებს, ჰკარგავს კლუბში უფასოდ შესვლის უფლებას 1914 წლის 1 იანვრიდან.

საწევრო ფულების გადახდა და ბილეთების განახლება შეიძლება კლუბის კანტორაში ყოველ-დღე დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 9 საათიდან ღამის 12 საათამდე. 1585

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებანი	**მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.
	მაღალაშვილი გ. ვ. სამშაბ. და შაბათობით 10—12.
	[illegible] ყოველ დღე [illegible]—1. ს.
	ფიდლოროვი ე. გ. ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1.
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკოვიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½.
	მელიქიშვილი ნ. ა. ყოველ დღე 10—1.
	ფირადოვი რ. ბ. ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12.
	თიკანაძე ი. ე. ყოველ დღე 1—2.
	მელიქიშვილი ნ. მ. ყოველ დღე 10—1.
ბავშვთა სნეულებ.	**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1.
	ფიდლოროვი გ. ს. ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ნერვიულ სნეულებ, და ელექ.	**ჯავახიშვილი ნ. ნ.** საშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1.
	ფონდოევი გ ს. ყოველ დღე 1—2.
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606“ და „914“ **წამლის შეშხაპუნება**, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა [illegible]. წ. 1436

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება

საზოგადოებისავე გამოცემული და საკუთარი საყმაწვილო წიგნები:

ასპინძის ომი	7 კ.
ამოდის ნათდება—ვაჟასი	15 „
ალი. ლომოურისა	10 „
ამირანის ლექსი, დასურათებული	30 „
ბუნების ცოდნ. პოლბერი	25 „
გულივერის მოგზაურობა	30 „
გლახის ნაამბობი	20 „
ერეკლე მეფე და ინგილო ქალი	5 „
თავდადებულნი ქართველნი	7 „
ივანემ რა ჰქნა?	5 „
კაცია ადამიანი	20 „
მოთხრობანი კლდიაშვილისა	30 „
რობინზონ კრუზო	30 „
საყმაწვ. მოთხრ. ე. გაბაშვილისა	30 „
საარაკო თავგადას. ტახტ. მემკვიდრისა	10 „
ქაჯანა	5 „
ყოველ ის მხრიდგან	10 „
ჩარლზ პარნელი	25 „
ორი მხატვარი	15 „
მაგდანას ლურჯა— ეკ. გაბაშვილისა	5 „
სიგნალი. ნით. კვირიკაძისა	2 „
სინიდისის ხმა, ნით.	2 „
სამი მოთხრობა. ნათარგმნი	3 „
იოანე სირდალი. ნათ. ი. ყიფ.	3 „
მელიას თავგადასავალი	25 „
მათიკო და მისი გიშერა	5 „
სამი ცელქი. მღვიმელისა	15 „
ძუნწი და ნატვრა. მისივე	10 „
ცვარი—მისივე	20 „
ოქროს თავთავი	15 „
მეფე ლამზა	7 „
ნელო და პატრაში.	10 „
სამი მოთხრობა ს. ყიფიანისა	5 „
სამი საყმაწვილო ამბავი ვაჟა-ფშავ.	15 „
ახალი წიგნები:	
გზნაცვალე (ნოტები სიმ.) გრიშაშვ.	25 „
საინგილო **ჯანაშვილისა**	1 მ.
1) ბედის ტრიალი, 2) ლაზარემ გადააჭარბა ან. ერისთავ-ხოშტარიასი	60 კ.
კამისია, მისივე	15 კ.

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас.

ტფილისის საპოლიტეხნიკო კურსები ინჟინერ ვინოგრადოვისა,

სახალხო განათლების სამინისტროს უწყებაში მყოფი.

განყოფილებანი: სამიწის-მზომლო და სასოფლო-სამეურნეო. ახლად მიიღებიან სამიწისმზომლო და სამშენებლო განყოფილებაში. კურსებზე მიიღებენ გამოუცდელად 1872 წ. წესდებით არსებულ საქალაქო სასწავლებელში კურს-დამთავრებულთ, ხოლო ამაზე დაბალის სწავლით აღჭურვილთ კი გამოსცდიან. მეცადინეობა **დაიწყება 7** იანვარს, მოწაფეთა მიღება—20 იანვრამდე. პირობებს ვგზავნით 4 შაურ-კაპეკიან მარკის მიღებისათანავე. **კურსები** მოთავსებულია სასულიერო სემინარიის ძველს შენობაში. პირადი მოლაპარაკებისათვის კურსების კანცელარია ღიაა ყოველ დღე დილის 10 საათიდან საღამოს 8 ს.-დე. რადგანაც სამიწისმზომლო ტექნიკების დიდი მოთხოვნილებაა, ამ კურსების დამსრულებელთათვის ადგილი უზრუნველყოფილია. 1656

ახალი კლუბი

30 დეკემბერს 1913 წ.

გაიმართება შობის ხე

წევრთა და მუდმივ მოსიარულეთა ბავშვებისათვის

ბილეთები იყიდება კლუბის კანტორაში და ღირს 25 კაპ. რადგან ბილეთებით დარიგდება საჩუქრები გთხოვთ ბილეთები შეინახოთ გათავებამდის.

დასაწყისი საღამოს 5 საათზე.

შობის ხის ანთებამდის აჩვენებენ: 1. გორანის სე ნს. 2. სინემოტოგრაფი.

დასასრული საღამოს 10 საათზე. 1635.

ელექტრონის, რენტგენის სინათლის

სამკურნალო

საწოლი ოთახებით

მიხეილ გედევანიშვილისა

ნევრებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791. 1468

საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდომ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თოქთოქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 122

ექიმი ჯავახიშვილი ნ. ნ.

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.

იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 737.

ქ. ბორჯომი

(დოკტორანტი).

ექიმი გ. დ. წინამძღვრიშვილი

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირდაპირ. 1571

ექიმი კბილისა პ. მ. მუმულია-კუხალაიშვილი

გადავიდა ქსენიევის ქუჩაზე № 7, სადაც ტფილისის კერძო სამკურნალოა მიხაილოვის პროსპექტისა და სასტუმრო ვეტცელის ახლო. იღებს დილით 9—2 საათ. საღ. 4—7 ს.-მდე. 872

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს საშ[illegible] ორგანოთა, **ათაშანგისა და კა**[illegible] ავადმყ.: **გასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

ექიმი შ. ა. მიქელაძე

15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. სადამ. 6—7 ს, ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 სათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 8. სახ. გაბაშვილისა.

ექიმი ქალისა ნინო რცხილაძე.

გადმოვიდა მოსკოვის ქუჩა № 9. იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

ექიმი ვ. მუსხელიშვილი

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

ვაგზლის კერძო სამკურნალო

ბარიდან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. [illegible]. ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

ბ. ა. [illegible]. ყოვ. დღე, კვირის გარდა ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.

ექ. ქალი [illegible]—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

გ. გ. კლდიაშვილი. ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა „606“-ით 1462

ექიმ ლ. ლ. გოცირიძის სამკურნალო ქალ. ბაქოში

მუდმივ საწოლებით:

სულით-ავადმყოფებისა, ავზნიანებისა და ლოთებისათვის.

ფასი მორიგებით.

ადრესი: Баку, магазинная, № 50. 1608

ექიმი პ. ლ. კიკალიშვილი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5½ საათიდან 7 საათამდე. კახეთის ქუჩა № 2, ტელეფონი 15—27. 1502

ქართული პრესა

ივ. გომართელი „თემის“ შობის ნომერში არჩევს ბ. ნ—ძის წერილებს და აღნიშნავს ავტორის ახირებულს აზრებს:

„მეტად საყურადღებოა ნ—ძის წერილის ის ადგილი, სადაც ის „ინოროდცებზე“ ლაპარაკობს. „ინოროდცებმა“ (არა ქართველებმა) ჩვენ ნდობა გამოგვიცხადეს და ეს ამტკიცებს, რომ ნაციონალურ კითხვაში ჩვენ სწორი პოზიცია გვიჭირავსო და სხ.

ნ—ძეს ჩემზედ უკეთ მოეხსენება შემდეგი გარემოება: როცა „ინოროდცებზეა“ ლაპარაკი, ყოველთვის და ყველგან მხედველობაში ჰყავთ ხალხის უმრავლესობა და არა უმცირესი ნაწილი.

ნ—ძის „ინოროდცები“ კი ვინ არიან? სომხის ხალხის უმრავლესობა, ან სომხის დემოკრატია? არა, ეს „ინოროდცები“ გახლავან სოლოლაკის მსხვილი ბურჟუაზია!

სოლოლაკის მსხვილ ბურჟუაზიას მოსწონს ნ—ძის პოზიცია ეროვნულ კითხვაში.

აქედგან რა დასკვნა გამოდის? ის რომ ჩვენი პოზიცია სწორიაო, ამბობს ნ—ძე.

ჩემის ფიქრით კი აქედან სხოლოდ ერთადერთი დასკვნაა: ნ—ძის ეროვნული პოზიცია არა თუ სწორი არ არის, ქართველი ხალხისათვის დამღუპველია.

ნ—ძის ეროვნული პოზიციის მოწონება სოლოლაკის ბურჟუაზიისაგან ცირას ნანინას ძალიან წააგავს „თამარ-ცბიერში“. დამისახელოს ერთად ერთი მაგალითი ნ—ძემ, როდესაც სოლოლაკის ბურჟუაზიამ მოიწონა ის, რაც ქართველი ხალხისათვის სასარგებლო იყო. ამისთანა მაგალითი არ ყოფილა და არც იქნება.

ქართველი და სომხის დემოკრატია ორივე ერთ ტაფაში იწვის. ბედმა ორივეს შავი ხვედრი არგუნა და სოლიდარობა, თანხმობა, ერთად მოქმედება, ძმობა აუცილებელია მათი კეთილ-დღეობისათვის. ერთმანერთ შორის მტრობა და სიძულვილი, არც ქართველ ხალხს დააყრის კეთილს, არც სომხისას.

ვინ ელობება წინ ამ სოლიდარობას და ერთობას?

ქართველების მხრით თავადაზნაურობის იდეოლოგები: სომხების მხრით მსხვილი ბურჟუაზია, ორივე ერის დემოკრატიის ინტერესთა დამცველებმა ერთსაც უნდა აჰხადონ ფარდა, მეორესაც, რათა დაანახვონ ხალხს მათი ნამდვილი სულისკვეთება.

ნ—ემ კი სოლოლაკის მდიდრები „ინოროდცებად“ მონათლა და თავი მოსწონს; ჩვენი ეროვნული პოზიცია სწორია, რადგანაც ესენი ზურგს გვიმაგრებენო.

ნ—ძეს ჩემზედ უკეთ მოეხსენება სოლოლაკელების სისტემა და სულისკვეთება და ამიტომ ცხადი უნდა იყოს მისთვის ისიც, რომ სოლოლაკის ბურჟუაზიასთან შეკავშირება ღალატია ქართველი დემოკრატიისა, ერთი კი არა თუნდა ათი დეპუტატიც რომ წამოასკუპოს სათათბიროში ამ შეკავშირებამ“.

⁂

იმავე „თემში“ დაბეჭდილია თ. სიბირსკის წერილი, რომელშიაც ერთი საღი აზრია, რომ ქართველ-სომეხთა ურთიერთობის გამწვავებით ისარგებლებს **მესამე**, გარეშე პირი. ამ გარემოებისათვის ჩვენ არა ერთხელ მიგვიქცევია ყურადღება და ვფიქრობთ, რომ შეიძლება პოლიტეხნიკუმი არც ისე მალე გაკეთდეს ტფილისში და მის გარშემო ატეხილმა განხეთქილებამ კი შეიძლება ადრე მოუტანოს ნაყოფი **მესამეს**.

ავტორი ეხება საქართველოს ავტონომიის საკითხს:

„ქართველები ოცნებობენ, და სრულიად სამართლიანადაც, საქართველოს ტერიტორიალურ ავტონომიაზე. ამ მხრივ ქართველი ხალხი ფრიად ბედნიერ პირობებში იმყოფება. მიუხედავად მუდმივი ბრძოლისა მტრებთან, ქართველებმა მოახერხეს ქართველ მასსით მჭიდროდ დასახლებული ტერიტორიის შენარჩუნება. თუმცა ყოველი მხრით აწვებოდა მტერი საქართველოს, მაგრამ მისი საზღვრები მაინც გამორკვეულია და ამ საზღვრებში მომწყვდეული ტერიტორია, ცოტას გამოკლებით, დასახლებულია ქართლოსიანთა ტომით.

თუ კიდევ ყველა ამას მივუმატებთ ნაციონალურ მაღალ თვითშეგნების შენახულ ეროვნულ კულტურას, აგრეთვე პოლიტიკურ მაღალ შეგნებას, ჩვენთვის ცხადი შეიქნება, რომ საქართველოს უფლება ავტონომიაზე ნაკლები არ არის პოლონეთისაზე. ეს ავტონომიის საკითხი მხოლოდ დროის საკითხია. ადრე თუ გვიან რუსეთი ამ უფლებას აღიარებს და ავტონომია განხორციელდება, მაგრამ საქართველოს ავტონომიას ბევრი მტერი ჰყავს. მის წინააღმდეგ უფრო მეტად, ვიდრე პოლონეთის ავტონომიის წინააღმდეგ, მოქმედობს რუსის პოლიტიკურ პარტიების მთელი მემარჯვენე ფრთა. თვით კადეტების პარტიაშიაც არის მიმდინარეობა, რომელიც უარჰყოფს ავტონომიას, მაგრამ მას ჰყავს უფრო საშიში მტერი მემარჯვენე პარტიების ხსენება იმ დროს, როდესაც გადასაწყვეტი იქნება საქართველოს ავტონომიის საკითხი, ოდესაც კი იქნება (?), მაგრამ ის მტერი, რომელზედაც მოგახსენებთ, მაინც დარჩება: ეს მტერი ქართველი შოვინისტებია...

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **ქართ. კულტურის მოყვარულთა** საზოგადოების საბჭო გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ 20 დეკემბერს, განზრახული საღამო, რომელიც საბჭოსაგან დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო ვერ შესდგა, 1914 წლის 24 იანვრისათვის გადაიდო. ამიტომ საპრემიოდ წარმოდგენილი ლექსები კვლავ მიიღებიან 20 იანვრამდე. ლექსის წარმოდგენის წესი წინანდელი რჩება: უნდა გამოიგზავნოს ორი კონვერტი (ადრესი: ტფილისი, გუნიბის ქუჩა № 43, გ. ჟ—რდ. ნიას)—ერთში ლექსი ავტორის დევიზით, მეორეში ავტორის გვარი. მეორე კონვერტი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება გახსნილი, თუ შესაფერ ავტორს პრემია მიუსაჯეს. ჟიურის წევრობა დღემდე იკისრეს: ივ. გომართელმა, გ. რცხილაძემ, ი. ზურაბიშვილმა, ს. გორგაძემ და ი. გედევანიშვილმა. ჯერჯერობით წარმოდგენილია საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან 12 ლექსი.

◆ **ქ. ტფილისის ს**[illegible] **ინსპექტორები** გვ[illegible] უნდა [illegible] ცხადოთ, რომ სახ[illegible] [illegible]ვალდებულნი არ[illegible] შემოიტანონ სახე[illegible] გარდასახადების თაობაზე. [illegible] განცხადებანი უნდა წარმოადგინონ 1914 წლის 7 იანვრამდე. განცხადებაში უნდა აღინიშნოს მდგმურთა ვინაობა-რაოდენობა, სახლის შემოსავალი და სხვა. ვინც ასეთს განცხადებას ვადაზე არ წარმოადგენს, იგი **დაჯარიმებულ იქნება ხუთ თუმნამდე**.

◆ დეპეშათა სააგენტო იუწყება. რომ კავკასიის ჯარის მეორე კორპუსის უფროსი ინფანტერიის გენერალი მიშლაევსკი მეფის მოადგილის სამხედრო თანაშემწედ დაინიშნა.

◆ **იორდანე**. ქალაქის გამგეობამ განკარგულება მოახდინა, რათა მართლმადიდებელთა იორდანე მოაწყონ მტკვრის პირას, ვერის ხიდის ზემოდ.

◆ **სამეურნეო სტიპენდია.** ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ საჭიროდ სცნო ერთი სტიპენდია დაარსოს სამეურნეო ცოდნის გასავრცელებლად. სტიპენდია დაარსდება 1914 წლის 1 იანვრიდან. სტიპენდიანტი უნდა ამოირჩიოს ქართულმა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ.

◆ **ქართული ენა სომხურ სასწავლებელში.** სომეხთა ნერსესიან სემინარიის სამზრუნველო საბჭომ დაადგინა, ქართული ენა სავალდებულო საგნად გახადოს ამ სასწავლებელში.

◆ ჟურნალისტი **ლევან ყიფიანი** უკვე გამოეწერა საავადმყოფოდან, სადაც ექვს თვე ნახევარს იწვა.

◆ **შემოსავალი ლექციისა**, რომელიც საქართველოს **ეგზარხოსმა ალექსიმ** წაიკითხა, 1,300 მან. იყო. ეს ფული გადაეცა მეფის მოადგილის კანცელარიას ტფილისის უღარიბეს მცხოვრებთათვის დასარიგებლად.

◆ საცენზურო კომიტეტის განკარგულებით აკრძალეს იუმორისტულ ჟურნალის „**სუსხის**“ საშობაო ნომერი.

საზოგადოებანი და კრებები

◆ ორ იანვარს ხუთშაბათს დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში მოხდება **ქართულ სიტყვა-კაზმულ საზოგადოების კრება**, რომელზედაც **ვახტანგ კოტეტიშვილი** წაიკითხავს რეფერატს **ი. დავითაშვილის** პოეზიაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

◆ **კავკასიის საიურიდიო საზოგადოების** კრება დღეისთვის არის დანიშნული.

◆ **ახალი საზოგადოება.** საზოგადოებათა საქმეების საგუბერნიო საკრებულომ დაამტკიცა წესდება ახალ საზოგადოებისა, რომელსაც სახელად ერქმევა „ქვრივ-ობოლთა დამხმარე რუსთა საზოგადოება“, რომელსაც მიზნად აქვს: ზნეობრივი და ნივთიერი დახმარება აღმოუჩინოს გაჭირვებულ ქვრივ-ობლებს, განსაკუთრებით რუსთ, ფულის მიცემით, სამუშაოს შოვნით, სასწავლებლებში მიბარებით, სამკურნალო და საიურიდიო დახმარების აღმოჩენით, სამადლო სახლებში მოთავსებით და სხვა.

სასამართლო

„ჟურნალ “წყარო“-ს (ბაქოში გამოდიოდა) რედაქტორს სამოსამართლო პალატამ ექვსი თვის ციხე მიუსაჯა.

◆ **რედაქტორის საქმე.** გაზეთ „თანამედროვე ქვეყანა“-ს რედაქტორს ჯანელიძეს, რომელიც სამართალში იყო მიცემული სისხლის სამართლის მე-129 მუხლის ძალით, სამოსამართლო პალატამ რვა თვის ციხე მიუსაჯა.

სომეხთა ცხოვრება

◆ **გამომცემლობა.** ბაქოს სომხის კულტურულ კავშირის საგამომცემლო სექციის ანგარიშიდან სჩანს, რომ სექციას გასულ წელს შემოსავალი ჰქონია 3469 მან., წლის განმავლობაში სექციას გამოუცია „სომხური ისტორია“, „როგორი დაბალი და საშუალო სასწავლებელი ესაჭიროება ამიერ-კავკასიას“ და „კატის ზღაპარი“ (სომხურად, ქართულად და თათრულად).

◆ **სომხური ოპერა.** მოსკოვში ამზადებენ წარმოსადგენად სომხურ ენაზე ოპერას „დემონს“. ახლად შემდგარს დასს აზრადა აქვს შემდეგ რამდენიმე ოპერა დაამზადოს და კავკასიის სხვა და სხვა ქალაქი შემოიაროს.

◆ **ნუბარ-ფაშის მოხსენება.** ეჩმიაძინში მიუღიათ პარიზიდან პოღოს ნუბარ-ფაშის მოხსენება სომეხთა საკითხის შესახებ. მოხსენების სიტყვით, სომეხთა საქმის გადაწყვეტა დღეს ძლიერ კარგს პირობებში იმყოფება. ნუბარ-ფაშამ ისიც აცნობა კათალიკოსს, რომ ოსმალეთის მთავრობამ სთხოვა, სტამბოლში ჩავიდე და პირადად მოველაპარაკო სომხეთის რეფორმების შესახებ, მაგრამ მე ვუპასუხე, როგორც კათალიკოზის წარმომადგენელს მაგის ნება არა მაქვსო.

◆ **სასკოლო კრება ეჩმიაძინში.** უკვე დაიწყო კრება სომხურ სკოლების პროგრამების გადასინჯვის შესახებ. გაზეთ „ბაქოში“ რ. ოგანჯანიანი ამ კრების გამო სწერს: ეჩმიაძინის სასულიერო მმართველობა დღემდის ნაკლებს ყურადღებას აქცევდა სკოლას და ანგარიშს არ უწევდა სრულიად საზოგადოებასა და პრესაში გამოთქმულს აზრებს. საჭიროა, რომ ეჩმიაძინი ეხლა მაინც პატივისცემით მოეპყრას კრე-

ბაზე მოწვეული დელეგატების დადგენილებასო.

შეცდომის გასწორება. შობის ნომერში მოთავსებულ ვაშა-ფშაველას ლექსში შეცდომით არის დაბეჭდილი. „ქალის **მემკელი** არა სჩანს როგორ **ვრქვა**. იმის სახელი" უნდა იყოს: ქალის **მეშველი** არა სჩანს, როგორ **ვთქვა** იმის სახელი".

კვირის ნომერში დაბეჭდილს ბასილაშვილის წერილში შეცდომით იყო დაბეჭდილი „3i წევრის მონდობილობა". უნდა ყოფილიყო 21 და სხვა.

წმ. ნინოს ეკლესია

კავკასიონის მწვერვალოვზე*)

ხევსურებსა და ინგუშებს შორის გავრცელებულია თქმულება, რომ „მყინვარის" მწვერვალოზე არსებობს ნანგრევები რაღაც ტაძრისა. მთიულები დარწმუნებული არიან, რომ მთებში ჯვარი მოსჩანს; ამ ადგილს ისინი წმინდად სთვლიან და ბეთლემს ეძახიან. მაგრამ მეცნიერნი ამ ამბებს სკეპტიკურად ეპყრობოდნენ და მთიულების სიტყვებს ყურადღებას არ აქცევდნენ. მხოლოდ ამ ზაფხულს რუსეთის სამთო საზოგადოების კავკავის განყოფილების საბჭოს წევრს პ. ტუხოვსკის შემთხვევით მოუხდა ამ ადგილებში ყოფნა. იგი იკვლევდა კავკასიონის მყინვარებს, როდესაც „მყინვარის" (ყაზბეგის) მწვერვალის მყინვარებს იკვლევდა მან მართლაც აღმოაჩინა 3½ ვერსის სიმაღლეზე მონასტრის ნანგრევები, რომელიც გადმოცემით დაარსებული ყოფილა თვით საქართველოს განმანათლებლის წმ. ნინოს მიერ. ნანგრევები იმყოფება „გერგეთის" მყინვარებთან ერთად, დაცულ საძირკვლების მიხედვით აქ არსებობდა რვა სენაკი და ეკლესია. ეჭვს გარეშეა, რომ ძველი ეკლესია დროს მიხედვით არ არის დანგრეული, არამედ იგი გაუნადგურებია ზვავს ან კლდის ჩამოწოლას, რადგანაც აქამდე შენახულა შენობის ზოგიერთი ხის ნაწილი. მომავალ ზაფხულ კავკავის სამთო განყოფილება დაწვრილებით გამოიკვლევს ამ ადგილს.

---

*) იხ. საშობაო სურათებიანი „დამატება".

ღია წერილი

ადესის ქართულ სათვისტომოს.

ვგრძნობ, ჩემი საქციელი მეტად ცუდი და მიუტევებელია, მიუხედავად ამისა სრული იმედი მაქვს ამხანაგები მაპატიებენ, რადგან მე თვითონ ვინანიებ ამ ჩემ უზნეო საქციელს.

პირველად ყოვლისა ბოდიშს ვიხდი ჩემგან შეურაცყოფილ ამხანაგებთან და შემდეგ სათვისტომოს და მთელი საზოგადოების წინაშე.

სტუდ. მიხეილ კვინიხიძე.

ბატონო რედაქტორო!

თქვენ პატივცემულ გაზეთში (№ 1030) მოთავსებული წერილი ქუთაისის ქალაქის თავის ბ-ნ ჩიქოვანისა მაიძულებს ამ პატარა განმარტებისადმი.

ჩემდა სამწუხაროთ საქვეყნო საბაასოთ გადაიქცა ჩემი მხოლოდ ბ-ნ ი. ჩიქოვანისადმი საიდუმლოდ მინდობილი დაპირება შესახებ ქუთაისის თეატრის აშენებისა.

ჩემს რწმუნებულს ა. თ—ძე სარაჯიშვილს თავისის გამოქვეყნებით ჰქონდა მხოლოდ აზრათ გაეუქმებინა საზოგადოებაში გავრცელებული ხმები, ვითომდა მე დამენიშნოს გადაწყვეტილი თანხა (200 ან 300 ათასი მანეთი) ზემოთ ხსენებულ თეატრის აშენებისთვის. უნდა განვაცხადო, რომ რა დახმარებასაც მე გადაწყვეტით დავპირდი, ის დღემდის სრულდება და თეატრის აშენებამდის უზრუნველყოფილია. მხოლოდ რაც თვით თეატრის აშენებას შეეხება გამოვსთქვი სურვილი და დავპირდი მოვიყვანო ეს საქმე სისრულეში, როდესაც ჩემს საქმეს მოვაწესრიგებ და პირველი ღონისძიება მომეცემა. არც განსაზღვრული თანხა და არც დრო მე გადაჭრით არ დამინიშნავს.

სრულიად შეუფერებელი და უადგილო ლაპარაკი, ვითომდა მე ჩემს სიტყვებზედ უარის თქმა გამეზრახოს. აქვე არ შემიძლიან შეუმჩნევლად დავსტოვო და არ ვსთქვა, რომ არავის ნება არა აქვს ეხებოდეს ჩემს კერძო საქმეებს და მათ შესახებ საკუთარ დასკვნებს საჯაროთ აქვეყნებდეს. იმედი მაქვს ამას იქით ბოლო მოეღება უადგილო სჯაბაასს ამ საგნის შესახებ.

პატივისცემით **ე. ხარაჯიშვილისა.**

შემოწირულება

ილიასეულ სახლის გამოსასყიდად შემოსწირეს წ.-კ. გამავრცელებელ საზოგ კიდევ შემდეგ პირებმა

ექიმ. თავ. ნიკ. ალ. ჯანდიერმა	50 მ.
თავ. ზ. დ. ბარათაშვილმა	100 მ.
ნაფ. ვექ. ვ. ა. თუმანიშვილმა	25 მ.
ალ. ბეს. მდივანმა	25 მ.
აშ.—ბეგოვმა	100 მ.
ბ. ც. მდივანმა	25 მ.
ნაფ. ვექ. თ. ი. ა. ბარათაშვილმა	50 მ.
თ. დ. გ. ჯორჯაძემ მეუღლითურთ	60 მ.
ბ. ნ. ჭრელაშვილმა	25 მ.
თ. დ. ე. ჩოლოყაშვილმა	25 მ.
ექ. ივ. ე. თიკანაძემ	25 მ.
ალ. ბ. შიხიწოვმა	50 მ.
	560 მ.
წინანდელი	500 მ.
სულ	1060

მოწყალეო ხელმწიფევ, ბ. რედაქტორო! გაახლებთ რა მცირედს შემოწირულებას (25 მან.), უმორჩილესად გთხოვთ მოახდინოთ განკარგულება, რათა ეს ფული გარდაეცეს ვისაც, ან სადაც ჯერ არს, შემდეგი დანიშნულების მიხედვით: 1) „ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ 5 მან., 2) „ქართ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების" სასარგებლოდ 5 მან., 3) „ქართული ფილარმონიული საზოგადოების" სასარგებლოდ 5 მან., 4) დიდი ილიას სახლის გამოსყიდვისათვის 5 მან., და) დასავლეთ საქართველოში დამშეულ მცხოვრებთა სასარგებლოდ 5 მან.

ღრმა პატივისცემით **შ. შიუკაშვილი.**

ლაილაშისა და საქაშეთის დაზარალებულთა და ქუთ. გუბ. დამშეულთა სასარგებლოდ რედაქციამ მიიღო შემდეგი შემოწირულებანი:

ი. ტორიკაშვილი 20 კ., ნ. კონდინა 25 კ., ი. გლინევიჩი 15 კ., მ. ბაბაჯანოვი 20 კ., ჰ. ფირცხელავა 75 კ., გ. ხეთაგური 50 კ., ნ. ნონიკაშვილი 50 კ., ვ. დაბროვსკი 50 კ., შ. მაჩაბელი 20 კ., ვ. ახობაძე 50 კაპ., ვ. ქვასროლიაშვილი 15 კაპ., ა. ზაუტაშვილი 20 კ., ვ. თვალიაშვილი 15 კ., გ. მეტეხელი 1 მ., ა. ჰიაფეროვი 1 მ. 5 კ., ჩიხიაშვილი 20 კ., ტ. საჯია 30 კ., ვ. ჩელიძე 10 კაპ., ვ. სტვილია 10 კ., ჩხენკელი 20 კ., გ. ჩიქვანი 20 კ., ი. ალიბეგოვი 20 კ., ნ. ერგემლიძე 30 კ.

სულ 7 მ. 90 კ.

ნიკოლოზ ერგემლიძე.

ბ-ნო რედაქტორო! გიგზავნით კიევის ქართველებში შეგროვილი 52 მან. 75 კ. გთხოვთ ეს ჩვენი მცირე წვლილი შეუერთოთ იმ საერთო თანხას რომელიც, დიდებულ მგოსნის ილია ჭავჭავაძის სახლის გამოსასყიდათ არის დანიშნული. გაახლებთ მასთანვე შემომწირველთას.

გიგო ნოდაბერიძემ 15 მან.
იასონ კაკაურიძემ 2 მან.
ვანო სარაჯიშვილმა 2 მან.

თითო მანეთი: გიგო აბდუშელიშვილმა, დ. მაჭავარიანმა, კოპალეიშვილმა, ვ. ბექაიამ. ათ-ათი შაური: დ. ნაზემცოვმა, დ. მარინაშვილმა, ვ. გოგიტიძემ, ზ. მაისურაძემ, ი. დარჩიაშვილმა, ნ. პაჩეშვილმა, გ. წერეთელმა, ჭეიშვილმა, ი. სირიამ, გრ. წერეთელმა, პ. ნუგავოიმ, ს. ჩხიკვიშვილმა, ი. ბერძნიშვილმა, შ. ხუხუნაიშვილმა, წ. რუხაძემ, ს. შარაშენიძემ, ა. კობახიძემ, ნ. გაჩეჩილაძემ, გ. მეძმარიაშვილმა, გ. გამყრელიძემ, ი. მახარაძემ, მ. გაბრიჭიძემ, ნ. ჩხეიძემ, დ. ჩხეიძემ, გ. დობორჯგინიძემ, სებაშვილმა, მ. ალავიძემ, ნ. ჯორჯიკიამ, ნ. დიდებულიძემ, ნ. ქორქაშვილმა, ი. ცქიტიშვილმა, შ. საბაშვილმა, ქ. ჯუღელის ასულმა, არგველაძემ, ჩხიკვიშვილმა, ა. იმერლიშვილმა. სამი აბაზი: კ. დიდებულიძისამ. ცხრა შაური: ერთმა. ორ-ორი აბაზი: ს. თოთიბაძემ, მ. ბრაგვაძემ, ნ. დემეტრაძე. 35 კ. გაიდამაშხუკმა. 30 კ. ა. გაფრინდაშვილმა, ნ. კეჭეყმაძემ, შ. ყიფიანმა, კვირიკაძემ, ამაშუკელმა. 25 კ., ნ. ქართველიშვილმა, ა. ჩიჩუამ, გ. მელითაურმა, კორძახიამ, მ. ბარნაბიშვილმა, ი. ასაჩბაძემ, თარგამაძემ, ს. მახვილაძემ. თითო აბაზი: რ. ჩიხლაძის ასულმა, კუპარაძემ, მ. წიქარაძემ, მჭედლიშვილმა, პ. ღოლიძემ, ნ. კაპანაძემ, ზერიძემ, ქალიძემ, პ. ჩხეიძემ, გ. ქირაქაძემ, მ. აფაქიძემ, ვ. გვასალიამ, გერსამიამ, გ. ყუმსიშვილმა, გ. მამალაძემ, ნ. კორძახიამ, გ. თაბუკაშვილმა, №-მა, ტყემალაძემ, ავალიანმა, ნ. ამაშუკელმა. 15 კაპ. ა. ჩინჩალაძემ, აბზიანიძემ, №-მა. ორ-ორი შაური: დ. სულხანიშვილის ასულმა, ნ. კუპრაძემ, გარდავამ, ი. ფუხაშვილმა, ა. ნაფეტვარიძემ, ა. მაჭავარიანმა.

სულ 53 მან. 15 კ.

პატივისცემით **დ. მარინაშვილი, დ. ნ. ნაზემცოვი.**

ადესის ინციდენტის გამო

ადესის სტუდენტთა სათვისტომომ, სტუდ. **მიხ. კვინიხიძეს**, დასაგმობ საქციელის გამო, ერთხმად დაადგინა გულის წყრომა და პროტესტი გამოეცხადოს.

გულითადი თანაგრძნობა შეურაცყოფილ ამხანაგებს, მათი გაბედული მხილება ნაკლისა სამაგალითოდ დარჩება ჩვენში.

რადგან მიხ. კვინიხიძემ შეინანა საქციელი, ბოდიშს იხდის შეურაცხყოფილ ამხანაგებსა, სათვისტომოსა და საზოგადოების წინაშე. მხედველობაში მივიღეთ რა მისი წარსული ცხოვრება გიმნაზიაში და აქ, გადავწყვიტეთ სათვისტომოდან არ გავაძევოთ. მწუხარებას გამოვსთქვამთ, რომ ამ სტუდენტისთვის შეუფერებელ საქციელს ჩვენში ჰქონდა ადგილი, რასაც თვით მიხ. კვინიხიძეც იზიარებს.

სათვისტომოს გამგეობის წევრნი: **კლავ. ტყემალაძე, პეტ. ქავთარაძე, გრ. გეგელაშვილი, ა. შხნელი, დ. მგელაძე.**

P. S. ამ ინციდენტში წამქეზებლობა და ერთგვარი დანაშაული სტ. მიხ. იაშვილს ბრალდებოდა. გამგეობა ყოველი გარემოების განხილვის შემდეგ არწმუნებს საზოგადოებას, რომ სტუდ. მ. იაშვილი შეცდომით არის ბრალდებული და ყველაფერში უდანაშაულოა.

სათვის. გამგეობა.

მუშათა ცხოვრება

ჩვენში.

გაფიცვის დასრულება.

ფოთში დასრულდა „რუსეთის სანაოსნო და სავაჭრო საზოგადოების" სააგენტოს დამტვირთველ მუშათა გაფიცვა. გაფიცვა სამ თვესა გრძელდებოდა. გაფიცვამ დიდი ზარალი მიაყენა საზოგადოებას. მუშების მოთხოვნილების ნაწილი დააკმაყოფილეს. ყოველ ათის ფუთზე მუშებს მანეთი მოუმატეს. მეორე საზოგადოების დამტვირთველმა მუშებმა მოლაპარაკება გამართეს ადმინისტრაციასთან ხელ-ფასის მომატების თაობაზე.

უცხოეთში.

ბელგიის მუშათა შორის.

ოც-და-ათი წლის წინად ბელგიის მუშათა ერთ ჯგუფს აზრად დაებადა დაეარსებინა საკოოპერაციო პურის საცხობი. მუშებმა ამ აზრის განსახორციელებლად შეაგროვეს რამდენიმე ასი ფრანკი, იყიდეს საჭირო ნივთები და შეუდგნენ საქმეს. ამ კოოპერაციის ერთი დამაარსებელთაგანი მუშა ვერტრანი ეხლა ცნობილი სოციალისტი დეპუტატია ბელგიის პარლამენტში.

ეს პატარა ჯგუფი იყო მამამთავრად ბელგიის პროლეტარიატის ძლევამოსილ პოლიტიკურ ორგანიზაციისა. ამ ორგანიზაციის ცენტრალური კომიტეტი იმყოფება მშვენიერ სადგომში, სახალხო სახლში, საცა მოთავსებულია მაღაზიები, მრავალი ბიურო, დარბაზი და სხვა.

ამ ცოტა ხანში ამ შენობას მიემატა უზარმაზარი შენობა, „მუშათა სასახლე".

ამ ჟამად ბელგიაში არსებობს მუშათა 63 სკოლა. ბრიუსელის სახალხო სახლში არსებობს ორი სკოლა მუშებისათვის. მუშებს უკითხავენ ლექციებს; უმთავრესი საგანი ლექციისა არის ისტორია და საეკონომიო მეცნიერება. სხვა სკოლები პროვინციებში არის გაფანტული.

რუსეთში.

მუშათა კლუბი „განათლება".

19 დეკემბერს მოსკოვში მოხდა მოსკოვის მუშათა კლუბის „განათლების" დამფუძნებელი კრება. კრებაზე წაიკითხეს კლუბის წესდება. კლუბს მიზნად აქვს მუშათა მცირე თავისუფალი დრო გონივრულად გამოიყენოს, იგი ისახავს საკულტურო-განმანათლებელ მიზანს. წესდებისამებრ კლუბში აკრძალულია ქაღალდის თამაში, მაგარი სასმელების გაყიდვა და სხვა. კლუბში გაიმართება საოჯახო საღამოები, ლექციები, საუბარი, სამუსიკო საღამოები და სხვა. დაარსებს ბიბლიოთეკა-სამკითხველოს, მოაწყობს ექსკურსიებს და სხვა.

კრებამ მოისმინა წესდება და სურვილი გამოსთქვა კლუბში მონაწილეობა მიიღებინონ უმეტეს ნაწილად მუშა ქალებს.

გაფიცვა.

19 დეკემბერს პეტერბურგში სოიკინის სტამბის მუშები გაიფიცნენ. მიზეზი ის იყო, რომ ადმინისტრაციამ დააპატიმრა მუშათა რწმუნებული მოლოდცევი. ამის გამო მუშებმა ადმინისტრაციასთან მოლაპარაკება გამართეს. მოლაპარაკებამ უნაყოფოდ ჩაიარა. ამის გამო მუშები გაიფიცნენ, ვიდრე მოლოდცევს არ გაანთავისუფლებენ. მუშათა შორის არსებული უკმაყოფილება პოლიციას აცნობეს. პოლიცია იმ წუთსვე გაჩნდა სტამბაში. სტამბის გამგე სთხოვდა მუშებს დღესასწაულების წინ მაინც ნუ მიატოვებთ მუშაობასო. მიუხედავად ამისა მუშები სახლებში წავიდნენ. იმავე ღამეს დააპატიმრეს მუშების მეორე რწმუნებულიც, მაგრამ მალევე გაანთავისუფლეს.

ბიბლიოგრაფია

Л. М. Меликсетъ Бековъ. Къ вопросу о настоящемъ имени Просвѣтительницы Грузіи. Тифлисъ 1914.

როგორც წიგნის სათაური ჰმოწმობს ბ. დ. მ. მელიქსეტ ბეკოვს საგნად აუღია დაემტკიცებინა, თუ ივერთ განმანათლებელ წმ. ქალწულს ნამდვილად რა ჰრქმევია. ქალწული, რომელმაც ივერია მოაქცია ქრისტეს სარწმუნოებაზე, ბერძნულ რომაულ ძეგლებში მოხსენებულია **ნონნად** ღვთის მსახურის მონაზონი ქალის მნიშვნელობითა. მაგრამ **ნონნა** იხმარებოდა აგრეთვე, როგორც საკუთარი სახელი. უკანასკნელი განმარტება ემყარება იმ გარემოებას, რომ ივერთ განმანათლებელი ქალწული კაპადოკიელი იყო, იმ ქვეყნიდგან, სადაც წმ. გრიგოლ ღვთის მეტყველის (ნაზიანზელის) დედას და უმცროს დისწულს ჰრქმევიათ აგრეთვე ხსენებული სახელი. ქართველთათვის **ნონნა** შეიქმნა **ნინო**, ხოლო სომეხთათვის **ნუნე**.

წმ. ქალწულის ხსენებული სახელწოდება და მისი განმარტება მაინც არ აკმაყოფილებდა მკვლევართ და მათ შორის პირველი ო. ლემმა (O. von—Zemm) გამოიკვლია და აღიარა, ივერთ განმანათლებელი ქალწულის ნამდვილი სახელი **თეოგნოსტა** არისო. ბ. ლემმს მხარი დაუჭირეს დ. დოპატინსკიმ და არა პირდაპირ, ი. ჯავახიშვილმა, ნ. მარმა და სხვებმა. თეოგნოსტ ჰნიშნავს ღვთის მცნობელსა.

ბ. ლ. მელიქსეტ ბეკოვს თეოგნოსტა ჰგონია იმავე ხასიათის სიტყვა, როგორც **ნონნა** არის და მოჰყავს საკუთარი მოსაზრება, რომლის ძალითაც **ნინოს** (ნუნე) აღიარებს ივერიის განმანათლებელი ქალწულის ნამდვილ სახელად. **ნინო** ისეთი სიტყვა არის, რომელიც შეიცავს დედის აზრს, და არავითარი კავშირი არა აქვს **ნონნასთან**, რომელიც ჰნიშნავს მონაზონ ქალსაო. ავტორის აზრით **ნინო** მოგვაგონებს ქართულ **ანინა**, **დანინა** და სომხურ **ანაჰიტ** მითოლოგიურ სახელებს, ქართული **ნანა**, **ნანინა** სიმღერის სახელებს, ქართული **ჰარნანო**, **ჰარნიარნანო** დასაწყის, თუ დასასრულ სამღერალ სიტყვებს, აგრეთვე ქართულ ჭანურ, სვანურ, მეგრულ, აფხაზურ, სომხურს და თათრულსა, ჩვენ დავსძენთ რუსულსაც, სადაც **ნანა** ისმის, როგორც **ნინა**, **ნინო** **ნანა**, **ნანო**, **ნენა**, **ნენო**, **ნანი**, **ნანე**, **ანა**, **ნიანია** (მცირე რუსის გამოთქმით ნენ-ნენ).

ბ. ავტორმა არც ნონნა, არც თეოგნოსტა შეიწყნარა ივერიის განმანათლებელი ქალწულის სახელად. ამაში ჩვენც ვეთანხმებით, მაგრამ მისი განმარტება რომ მივიღოთ, მაშინ ნინოც ხომ ისეთივე სიტყვა უნდა იყვეს, როგორიც არის მისივე დაწუნებული ნონნა და თეოგნოსტა, რადგანაც ნინოს, თუ ნუნეს მსგავსებას მოხსენებულ **ნანასთან**, რომელიც ჰნიშნავს დედას, აგრეთვე შემთხვევითი ხასიათი აქვს და ემყარება იმავ მოსაზრებას, რომელმაც უარ აყოფინა თეოგნოსტა. ის მაგალითი კი ქუასთან ახლოა როცა ავტორი ამბობს, **ნინო** სხვანაირად გამოთქმული **ნანა** არის, ის სახელი რომელიც ერქვა წმ. მირიან მეფის მეუღლესაო.

ნინოს სახელს უშორეს ახსნას რომ გავყვეთ, დავინახავთ შემდეგსა. ქართულს ენაში კნინებითი, თუ საალერსო სახელი სწარმოებს ხანდახან წოდებითის ბრუნვისაგან, მაგ **ვარდო** ვარდუასაგან, **ვანო** ვანუასაგან **უა**, **აუ** ხმების **ო**-ნად გამოთქმით. ისევე **ნინა** უნდა გამოთქმულიყო წოდებითის ბრუნვით **ნანუა** (ნანავ), რომელიც შემოკლებით გამოთქმულა **ნანო**, შემდეგში **ნინო**.

ნანა ბიბლიური **ნაანა** სახელია, ისევე როგორც **ბაანა** და უნდა გავრცელებულიყვეს ქართველობაში ქრისტიანობამდე, არამც თუ მარტო იმ დროს, როცა ურიები მცხეთაში ჰმკვიდრობდნენ, არამედ იმ დროსაც, როცა როგორც ჩვენი, ისე მათი წინაპრები ჯერ კიდევ **ურქალდუს** ქვეყანაში სცხოვრებდნენ.

ბ. ლ. მელიქსეტბეკოვს წიგნი სპეციალისტებისთვის ყურ დასაგდები თხზულებაა, რადგანაც დაწვრილებით ბიბლიოგრაფიას შეიცავს იმ საგნისას, რომლის გამოკვლევაც თავს უდვია და თვით გამონაკვლევიც საინტერესოა.

პეტრე მირიანაშვილი.

მოწერილი ამბები

ს. პატარძეული. (ტფილისის მაზ.). მშვენიერი ამინდია—ცხელა, თითქოს გაზაფხულდა. არც თოვლი ყოფილა. აქეთ თაგვი მინდორში ძლიერ ვრცელდება.—და თუ ზამთარმა ასეთი ამინდებით გაიარა, თაგვი ძლიერ გამრავლდება, შიმშილი მოსალოდნელია. თაგვი მთელ ივრის ხეობაში მინდვრებში ძლიერ ყველგან გამრავლდა და თუ ეხლავე ზომები არაფერი მიიღეს ცუდათ წავა მოსავლის საქმე. სოფელ ბერთუბანში და პატარძეულში გავრცელდა გადამდები სენი ქუნთრუშა და ხუნაგი—თითქმის მთელ სოფელს მოედო, რამდენიმეც იმსხვერპლა და მრავალი ავად არის. რატომ ექიმს არ შეატყობინებთ მეთქი—ექიმობა არას შველისო, უფრო გაუძნელდებათო—ანგელოზები გაჯავრდებიანო.

ივ. გულიაშვილი.

ლევ. ბატონიშვილი

ოსეთში და ოსეთის ამბოხება

(1810—1811 წ.)

დასასრული*)

მოუვიდა თუ არა გენერალ ახვერდოვს ტფილისიდან მაშველი ჯარი, მაშინვე შეუდგა ლევანის წინააღმდეგ მოქმედებს. საჩქაროდ შეადგინა ცალკე რაზმი ორი როტისაგან ორი ზარბაზნით და ქართველი ცხენოსან მილიციელთაგან და უბრძანა დაუყოვნებლივ თავს დასცემოდა ლევანს, რომელიც ამ დროს ცხინვალის ახლოს იმყოფებოდა. ლევანი ასე მოულოდნელად არ ელოდა რუსის ჯარს. მცირე ბრძოლის შემდეგ დამარცხდა და ლიახვის ხეობას შეაფარა თავი. ბრძოლის ველზე 80 მოკლული მეამბოხე დარჩა. ჯარმა ლევანის მომხრე სოფლები ცეცხლს მისცა, თავადი მაჩაბლები, რომლებმაც ლევანს დახმარება გაუწიეს, დატყვევებული იქმნენ და სამართალში მისცეს, ხოლო მათი მამულ-დედული კი სახაზინოდ ჩაირიცხეს. ოსები შეშინებულნი ასეთი სისასტიკით გენერალ ახვერდოვს პატიებას სთხოვდნენ და თანაც პირდებოდნენ ლევანის გაცემას. გახარებულმა ახვერდოვმა ოსებს პატიებისა და შეწყნარების გარდა საჩუქარიც აღუთქვა, თუ ლევანს გასცემდნენ, მაგრამ ჩქარა დარწმუნდა, რომ ეს მარტო ცარიელი სიტყვები იყო მათის მხრივ.

ცხინვალიდან ლევანი ლიახვის ხეობაში ავიდა და სხლების ციხეში გამაგრდა, რომელიც ი. მაჩაბელს ეკუთნოდა. აქედან ხალხს საომრად უწოდებდა და თანაც ამხნევებდა. ლევანმა ხმა გაავრცელა, ალექსანდრე ბატონიშვილი ოცი ათასი თათრის ჯარით ქართლში შემოვიდაო. ტორმასოვმა ლევანის მოპირდაპირე ჯარი კიდევ გააძლიერა. ტფილისიდან გაგზავნა პოლკოვნიკ სტალის უფროსობით ერთი როტა ეგერებისა, ერთი ესკადრონი ნიჟეგოროდის პოლკისა და 60 ყაზახი ორი ზარბაზნით.

მიუხედავად იმისა, რომ მოპირდაპირე რუსის ჯარი დღითიდღე მატულობდა, ლევანი მაინც არა სცხრებოდა და უფრო და უფრო აფქრევდა ცეცხლს ოსებში. ალექსანდრე ბატონიშვილმაც შიკრიკები ათასობით მოფინა მთელ ქართლს და თავად-აზნაურობას რუსის წინააღმდეგ საბრძოლველად იწვევდა.

ტორმასოვმა ახვერდოვს უბრძანა შუაგულ ოსეთში გაეგზავნე ჯარი ლევანის წინააღმდეგ, მაგრამ ახვერდოვი მას არ დაეთანხმა. უკანასკნელის აზრით ზაფხულში ოსეთში გალაშქრება მეტად ძნელი იყო, რადგანაც მთა გორიან ადგილებისა და ციცაბ კლდეების გარდა, დაბურული ტყეებიც ხელს უწყობდა მეამბოხე ოსებს. ახვერდოვის აზრით უფრო ადვილი იყო ლევანის წინააღმდეგ მოქმედება ზამთარში, როდესაც ტყეს ფოთოლი დასცვივდებოდა[12]. ამ დროს რუსეთიდან დაბრუნდა გუბერსკი სეკრეტარი დავით აბაზაძე, რომელიც იქ ლევანის მამასთან იულონთან იყო. ტორმასოვმა აბაზაძე ლევანთან გაგზავნა მოსალაპარაკებლად, აბაზაძეს დავალებული ჰქონდა ლევანს მოლაპარაკებოდა თავის მხრით და არა რუსეთის მთავრობის მონდობილობით. აბაზაძემაც ის პასუხი მიიღო ლევანისაგან, რაც დეკანოზმა ქართველიშვილმა.

არც ბატონიშვილ თეიმურაზის მაგალითმა იქონია გავლენა ლევანზე. თეიმურაზი სპარსეთს იყო გადახვეწილი და იქიდან თავის ნებით დაბრუნდა და გამოეცხადა რუსის მთავრობას. რადგანაც თეიმურაზი და ლევანი დიდი მეგობრები იყვნენ, ეგონათ თუ ლევანზე თეიმურაზის მოსვლა იმოქმედებდა და ამისათვის დავით აბაზაძე ხელმეორედ გაგზავნეს მასთან, მაგრამ ლევანმა ეხლაც უარით გამოისტუმრა აბაზაძე.

დაგვიანების დრო აღარ იყო, მოლაპარაკებაში დრო გადიოდა, ოსეთში კი მღელვარება დღითი-დღე ძლიერდებოდა და მთელ სოფლებს ცეცხლსავით ედებოდა. დიდი თუ პატარა იარაღს ისხამდა და ლევანისაკენ ეშურებოდა. ენკენისთვის ბოლოს 1810 წ., ტორმასოვმა უბრძანა გენერალ მაიორ ახვერდოვს ლევანის წინააღმდეგ გაეგზავნა პოლკოვნიკ სტალის უფროსობით ექვსი როტა ქვეითა ჯარისა, ორი დრაგუნთა ესკადრონი და რამდენიმე ნაწილი ყაზახებისა და ქართველ მილიციელებისა.

ეს ჯარი უნდა შუაზე გაყოფილიყო და ლომანისხევითა და ჯავის ხევით—ორი მხრიდან შესეოდნენ შუაგულ ოსეთს, იარაღით გაეფანტათ მეამბოხენი და სამუდამოდ დაემშვიდებინათ სოფლები. ამასთანავე ტორმასოვმა სრული უფლება მიანიჭა ახვერდოვს, მას ნება მიეცა ისე ემოქმედა ლევანის წინააღმდეგ, როგორც კი თითონ დაინახავდა საჭიროდ.

პოლკოვნიკმა სტალმა ჯარი ორ ნაწილად გაჰყო. ერთი ჩააბარა ნიჟეგოროდის პოლკის მაიორ პოტლოგ მეორეს, მეორეს კი თითონ უფროსობდა. სტალი თავისი ჯარით ლომონოს ხევის გზით წავიდა. ეს გზა მეტად საშიში და სახიფათო იყო, გზა წარმოადგენდა ვიწრო ბილიკს, რომელზედაც ორ მგზავრს ერთად გავლა არ შეეძლო. ბილიკი მისდევდა ხევის აქეთ-იქით კლდიან ნაპირებს, და თუ კი ვინმეს უეცრად ფეხი ბილიკზე გადაუცდებოდა, სამუდამოდ უნდა გამოსთხოვებოდა წუთისოფელს. ძნელი იყო ამ გზით მოგზაურობა, ჯარი კუს ნაბიჯით მიიწევდა წინ. 30 ენკენისთვეს, გათენებისას, ჯარმა არაგვის ოსეთში ძლივძლივობით მიაღწია. აქ უეცრად ისინი თავს წააწყდნენ 2,000-ზე მეტ შეიარაღებულ ლიახველებს. ლიახველებს აქ თავი მოეყარათ თავიანთი მამასახლისებით და ლევანს ელოდებოდნენ, რომლისათვისაც უნდა ერთგულობა შეეფიცათ.[13] ლიახველებს უფროსობდა აზნაური დურმიშხან ტუსიშვილი. ლიახველები არ შეკრთნენ რუსის ჯარის მოულოდნელი მოსვლით, ერთბაშად დარაზმდნენ და სასტიკი სროლა აუტეხეს სტალის ჯარს. სტალმა იერიში მიიტანა მეამბოხეებზე, ბრძოლამ ორს საათს გასტანა, რის შემდეგ ოსები ძლეულ იქმნენ და უკან დაიხიეს, მაგრამ ყველა მაღლობ მთა-გორებზე და კლდეებზე ხელ-ახლავ მაგრდებოდნენ და სასტიკად იბრძოდნენ. სტალის ჯარი ფეხ-და-ფეხ მისდევდა მათ და სიმაგრეებს ხელიდან აცლიდა. ერთ ადგილას ხევში მეამბოხენი გამაგრდნენ სალის კლდეზე, კლდის ქვევით მარტო ვიწრო ბილიკი მისდევდა, სხვა გზით კი ამ პოზიციის აღება შეუძლებელი იყო. მეამბოხენი აქ თავს კარგად გრძნობდნენ და ფიქრადაც არ მოსვლიათ თუ მათ აქედან რუსის ჯარი გარეკდა. პოლკოვნიკი სტალი რომ ამ ბილიკით წარსულიყო და წინიდან მიეტანა იერიში, ერთ ჯარის კაცი აღარ შერჩებოდა ცოცხალი. ბილიკზედ სეტყვასავითა სცვიოდა მეამბოხეთა ტყვია და ქვა. პოლკოვნიკმა სტალმა ხერხს მიმართა. წინიდან სასტიკი ზარბაზნის სროლა აუტეხა მეამბოხეთ და იმავ დროს უბრძანა ქართველ მილიციებს, როგორც მთაკლდეებში სიარულში გაწვრთნილი, კლდეზე ასულიყვნენ და გვერდიდან მოევლოთ ოსებისათვის. მილიციელებმა თითქმის თვალის დახამხამებაში აასრულეს ბრძანება, გასაკვირალის სისწრაფით აცოცდნენ იმ მიუვალ კლდეებზე, სადაც იმ დრომდის ჯიხვების მეტს არავის გაევლო, გვერდით მოექცენ მეამბოხეთ და სასტიკი სროლა აუტეხეს. ასეთმა მოულოდნელობამ მეტად შეაკრთო ოსები, გვერდიდან თავის დღეში არ მოელოდნენ მტერს, ორ ცეცხლშუა ჩავარდნილებმა პოზიცია მიატოვეს უკან დაიხიეს, მაგრამ გულს მაინც კიდევ არ იტეხდენ და ერთი კლდიდან მეორეზე სისწრაფით გადადიოდენ, ყოველ ქვასა და ხეს ებღაუჭებოდნენ და თავ განწირულნი ლომებსავით იბრძოდნენ.

ვგ. ახსაძე.

(დასასრული იქნება)

---

*) იხ „სახალ. გაზ." № 1077.

[12] ახვერდოვის მოხსენება ტორმასოვისადმი 1810 წ. 27 აგვისტოს № 67.

[13] Акты, т. IV, № 648—652.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

25—27 დეკემბერი.

უცხოეთი.

სოფია. რადისლავოვმა ყველა პარტიასთან მოლაპარაკება გამართა, გარდა დანევისა და გეშოვის პარტიებისა. იმ ჯგუფებმა, რომელთანაც მოლაპარაკება ჰქონდა როდისლავოვს, უარი სთქვეს კაბინეთში შესვლაზე. მეფემ ხელი მოაწერა ბრძანებას, რომლითაც ხელმეორედ ინიშნება მინისტრებად რადოსლავოვის კაბინეთის ყველა წევრი. გარეშე საქმეთა სამინისტროს მართვა-გამგეობა რადოსლავოვის ხელში რჩება.

სტრასბურგი. რეიტერის პროცესი. ცაბერნის ამბების თაობაზე სამხედრო მოწმენი ამბობენ, რომ ქუჩებში ყვირილი ისმოდა: მოქალაქეთა სიტყვით კი სრული სიჩუმე სუფევდა.

სტამბოლი. ქემალ ბეი ეძაასა სააგენტოს კორესპონდენტს. მინისტრს უთქვამს: ოსმალეთის ჯარის შეიარაღების გაძლიერებას და ფლოტის აღორძინებას არავითარი საომარი მიზანი არა აქვსო; ჯარი და ფლოტი საჭირო არის ოსმალეთისათვის მოსეულ მტრის მოსაგერებლად; ოსმალეთსა ჰსურს მეგობრული ურთიერთობა იქონიოს რუსეთსა და ბულგარეთთან; ძლიერი ფლოტი საჭიროა, რათა დაიცვას მცირე აზიის სანაპიროები; ამ კუნძულებზე ოსმალეთი არას გზით ხელს არ აიღებს, გარნა სამაგიეროს გადახდის ფიქრი არა აქვს ოსმალეთს. სომხეთში რეფორმების შემოღების საკითხი, თანახმად რუსეთის ელჩის პროექტისა, გადაწყვეტილად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც მინისტრთა საბჭო შესაწყნარებლად სცნობს რუსეთის პროექტს.

სკოპლე. მორავიისა და დრონის დივიზიების მობილიზაცია ნაწილ-ნაწილად ჰხდება. უკვე ანთავისუფლებენ სათადარიგო ჯარის-კაცებს, რომელნიც ალბანეთის აჯანყების გამო ჯარში იყვნენ გაწვეულნი.

ტოკიო. ქარიშხალის გამო იძნუს მახლობლად დაიძირა გემი „ასიტაკამარუ“. დაიღუპა 115 კაცი.

თეირანი. ყაზვინიდან უნდა გავიდეს რუსეთის ჯარი. დარჩება იქ რამდენიმი ასი ყაზახი. ამ ამბავმა სპარსეთის მთავრობაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ამ შთაბეჭდილებას რუსეთის სასარგებლოდ ჰხსნიან.

სოფია. ბულგარეთის სააგენტო იტყობინება: საბერძნეთის მთავრობას აზრად აქვს მაკედონიაში განახორციელოს ახალი კანონი ყაჩაღობაზე. ამას მიზნადა აქვს ბულგარელთა სრული აღმოფხვრა მაკედონიაშიო. ბულგარეთის ყველა წრე რეპლესალიებს მოითხოვს.

ვალონა. საალყო წესებია შემოღებული.

ვენა. „დეიე-ფრეიე-პრესე“-ს ცნობით, ჩერნოვიცში დააპატიმრეს ძმანი გეროვსკები, მათი დედა და და, რეალისტად ნამყოფი ჰელერი და სახალხო მასწავლებლად ნამყოფი ზურკანოვიჩი.

ლონდონი. ჯოზეფ ჩემბერლენმა ბირმინჰამის ამომრჩევლებს განუცხადა, რომ იგი საპარლამენტო მოღვაწეობას თავს ანებებს.

ბენგაზი. სულარიამის მახლობლად მეამბოხეთა რაზმი თავს დაესხა სასურსათო რაზმს. მეამბოხენი უკუქცეულ იქმნენ. მათ მოუკლეს 20 კაცი, მრავალი დასჭრეს. იტალიელების დანაკლისი ფრიად მცირეა.

ვენა. „ფრემდენ-ბლატი“ სწერს: რუმინიის 7 მინისტრ-პრეზიდენტის გადაჭრილმა სიტყვებმა ავსტრია-ჰუნგრეთის მოქმედების თაობაზე ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაჰფანტოს ლეგენდა, ვითომც ავსტრია-ჰუნგრეთი საკმაო ენერგიით ვერ იცავდა რუმინიის ინტერესებს.

ამ სიტყვის გამო ბერტჰოლდი მაიორესკუს მიესალმა.

ათინა. დეპუტატთა პალატის სხდომები დღესასწაულების გამო შესწყდა. ვენიზელოსი რომს წავიდა.

სტამბოლი. სამსახურიდან დაითხოვეს 280 ოფიცერი პოდპოლკოვნიკისა და დივიზიის გენერლის ჩინებში.

თეირანი. სატახტო ქალაქში დაიწყო მოქმედება საარჩევნო სპეციალურმა კომიტეტმა. კომისიები მსურველთ დაურიგებენ ფურცლებს, საცა აღნიშნავენ თავის სოციალურს და ქონებრივად მდგომარეობას. ამ ცნობების მიხედვით შეადგენენ იმათ სიას, ვისაც მეჯლისის არჩევნებზე მონაწილეობის მიღების უფლება ექნებათ.

რუსეთი

პეტერბურგი. ცეცხლისაგან განადგურდა მფრინავ ლებედევის სახელოსნო. დაიწვა პროპელერები.

მოსკოვი. სულით ავადმყოფთა მფარველ საზოგადოების მოღვაწეთა მეხუთე საერთაშორისო კონგრესის სხდომები დაიწყო. მონაწილეობს 300 რუსი და 30 უცხოელი დელეგატი. საპატიო თავმჯდომარედ აირჩიეს პარიზის წარმომადგენელი შოსი.

პოლტავა. გუბერნიის საერობო კრებამ დაადგინა წინადადება მისცეს სხვა გუბერნიის ერობებს, რათა შეთანხმებით იშუამდგომლონ საშუალო უმაღლეს სკოლის რეფორმათა მოხდენის თაობაზე.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი. კვირას, 29 დეკემბერს ქართულ თეატრში ორი წარმოდგენაა დანიშნული. დილით 12 საათზე საბავშვო წარმოდგენაა. წარმოდგენილი იქნება მესამედ „**პრინცი მელორე**“. პიესა სავსეა მრავალი სცენიური ეფექტებით და მონაწილეობს მთელი დასი.

სალამოს წარმოდგენილი იქნება მესამედ ახალი ორიგინალური პიესა ი. გედევანიშვილისა „**ხინათლე**“. ასე ადრე იმეორება მხოლოდ იმიტომ, რომ პიესა მაყურებლებზე კარგ შთაბეჭდილებას ახდენს. მეორე წარმოდგენის დროს მრავალი მსურველი დარჩა უბილეთოდ. ორივე წარმოდგენაზევე შემოსავალი უდრის მრავალი ათასს მანეთს. შემდეგი ბენეფისი მსახიობის **გ. იმხნელისა**, განზრახულია წარმოსადგენად „**ჩრდილოეთის გმირები**“, იბსენისა.

— სიო ჰანტურიშვილის ორიგინალური პიესა „**ბურუსი**“ დრ. საზ. გამგეობამ მიიღო დასადგმელად. ეხლა პიესა ცენზურაში არის, განზრახულია მიმდინარე სეზონშივე დაიდგას.

ზუბალაშვილების სახალხო სახლი დღეს, 29 დეკემბერს ქართული წრის მიერ წარმოდგენილი იქნება პროტოპოპოვის პიესა „**ცხოვრების გარეშე**“, 4 მოქმ. თ. შველიძის თარგმანი.

ბაქო. შაბათს, 21 დეკემბერს, დრამატიულმა სექციამ თავისი მორიგი წარმოდგენა გამართა ძმ. ნიკიტინების თეატრში. უზარმაზარი თეატრი მთლად გაიჭედა, ათას სულზე მეტი იყო. ეს გარემოება აშკარად ამტკიცებს, რომ ბაქოელ ქართველებს უყვართ ქართული წარმოდგენები. ფასები ძალზე დაკლებული იყო, მაგრამ შემოსავალმა მაინც ხუთას მანეთს გადააჭარბა.

დასდგეს ამ სალამოს დ. ერისთავის დრამა „**სამშობლო**“. მონაწილეობდნენ ადგილობრივი ძალები. ნიკიტინის თეატრი დეკორაციებით ძალიან ღარიბია, ამიტომ სცენები ისე ვერ მოეწყო, როგორც სასურველი იყო. მოთამაშენიც, რაღა კვირველია, ბევრში კოჭლობდნენ მაგრამ სცენის-მოყვარეებს მეტიც არ მოეთხოვებათ. ყოველ შემთხვევაში ხალხი კმაყოფილი დარჩა მთავარ როლებს ასრულებდნენ. ქეთევანისას—ტ. ამირეჯიბი, ლეონიძისას—ა. ახობაძე, ხიმშიაშვილისას—ნ. გვარაძე და შაჰისას—ამაშუკელი.

შემდეგი წარმოდგენა გაიმართება შაბათს, 21 დეკემბერს, არტისტიულ საზოგადოების დარბაზში. დასდგამენ ოსტროვსკის პიესას—შემოსავლიან ადგილს. იანვრის პირველ რიცხვებში ბენეფისია ქ-ნ **ქეთევან ანდრონიკაშვილისა**.

დ. ჭიათურა. კვირას, 22 დეკემბერს ადგილობრივმა დრამატიულმა დასმა წარმოადგინა „ლევან სამეგრელოს მთავარი“, ისტ. დრამა 5 მოქმ. ვ. ყიფიანის. მოთამაშეთა შორის ყურადღებას იქცევდა ქ-ნი მ. ქილარჯიშვილი (დარეჯანი). არა უშავდა ქ-ნ ა. ლოლუა-მიქაშავიძისას (ნინო). განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია უკანასკნელ მოქმედებაში, სადაც მთლიანად გადმოგვცა დედობრივი გრძნობა, როდესაც ნინო მიდის სასფლაოზე თავის უკანასკნელ იმედის, ერთად-ერთი შვილის სატირლად. ბ. ა. მურუსიძე (ლევანი) სიმკაცრე და შეუბრალებლობა არ აკლდა მთავრისა, მაგრამ მეხუთე მოქმედებაში, გადაჭარბებულ ბარბაცით, მთვრალს მოგვაგონებდა. აბდუშელი (არჩილი) და მაჭარაძე (გიორგი) მეტ შრომას და დაკვირვებას მოითხოვს. ეს უკანასკნელი ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებს მსმენელზე ყოველ კვირა ერთსა და იმავე გრიმით. საზოგადოებაზე დიდი შთაბეჭდილება დასტოვა. —ძე.

წერილი რედ. მიმართ

პასუხად ბასილაშვილს.

ბ. ბასილაშვილი სწერს „უკანონო იყო კრება ავლაბრის უფასო წიგნთ-საცავისა და მასზე მომხდარ არჩევნებისაო. ასაბუთებს ამას იმითი, რომ რატომ გაზეთში არ იყო კრების შესახებ განცხადებაო, რატომ „არ შეგვატყობინესო“?

ავლაბრის უფასო წიგნთ-საცავი ოთხი წლის დაარსა ქართველთა-შორის წერა-კითხვის საზოგადოებამ, მხოლოდ საქმის რიგიან წასაყვანად მის გარეშემო დაწესდა დამხმარი წრე, რომელიც წიგნთ-საცავის საწარმოებლად ირჩევს გამგეობას. ამ წრის ჯერ ლეგალიზაცია არ მიუღია, იმიტომ გაზეთებში განცხადება არც საჭიროა. წრის შემადგენლობის სია ბიბლიოთეკის საქმეებში არსებობს—მათი შეტყობინება ხელად ხდება ხოლმე და ყოველ წელს ორმოცამდე წევრი შეიკრიბება ხოლმე გამგეთა არჩევნებისთვის. წელსაც ასე იყო, 37 კაცი მოგროვდა—მხოლოდ ავლაბარში თუ 37 კაცმა იცოდა კრების დანიშვნა, მაშინ მთლად ავლაბარმაც იცოდა.

ვისაც წიგნთ-საცავის და გამგეობის საქმიანობას ხელის შეწყობა უნდა, კრება კვლავ კიდევ იქმნება და მაშინაც შეიძლება შესწორდეს გამგეობის შედგენილობა. ხოლო წამდა-უწუმ კრების მოწოდება საქმეს ავნებს.

გამგეობა. **მღვდ. ზ. გულისაშვილი, დ. ნაცვლიშვილი, ა. ჯაჭვაძე, გ. დურგლიშვილი.**

რედაქტორი **ნ. ყურდღელაშვილი.**
გამომცემელი **ა. ჯაჯანაშვილი.**

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1889 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დ ი ლ ი თ:
„606“ და „914“
11—12 ს. შეუხაპუნება კონსულტაციურად.
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. აგასარიძე: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ქ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საზები-ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულიანი: 10 11 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, ბავშვთა და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ო. გ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საზებიო და ქალების ავადმყ.
ქ. დ. გურგენიძე. 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერიოლოგ. გამოკვლევა. სადამოობით 6—7 საათამდე.
ს ა ღ ა მ ო თ ი:
მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის
1004 დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

სამშობიარო
თავშესაფარი
თუხარელისა
გადავიდა საკუთარ სახლში, გოლოვინის პროსპექტის ახლოს, ვოდოვოზნის შესახვევი № 8. მიიღება მშობიარეთა ყოველთვის დღე და ღამე, საამბულატორიო მიღება ავადმყოფებისა, მასსაჟი და ყვავილის აცრა საღამოს 4 ს.-დან 5 ს.-მდე. 1511

ფეხსაცმელები
თომა დ. ჯანუარაშვილის
მაღაზია-სახელოსნოში
მუხრანის ქ. № 2.
მიღებულია ახალი ზამთრის სეზონის საქონელი, ვარშავის და პეტერბურგის მექანიკური ნაწარმოებისა. **ფასები საფაბრიკოთ.**
855

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი
„ერი“
ხელის მოწერა მიიღება 1914 წლისთვის
გაზეთში ახლო მონაწილეობას მიიღებენ ჩვენში ცნობილი პუბლიცისტები, ბელეტრისტები და კრიტიკოსები.
გაზეთის ფასი:

ერთი წლით . . .	7 მ.	ერთი თვით . . .	80 კ.
ნახევარი წლით . .	4 „	და ცალკე ნუმრის .	5 „

გაზეთის წლიური დასაკვეთი ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება ამ სახით: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მაისს—ორი მანეთი და პირველ ენკენისთვესაც—ორი მანეთი. საზღვარგარეთ გაზეთი წლიურად ღირს 14 მ., ½ წ.—8 მ., თვიურად 1 მ. 20 კ.
სოფლის მასწავლებლებსა და სოფლის უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველოებს გაზეთი ეთმობათ წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მან. და თვიურად 60 კაპ. მისამართი რედაქციისა და კანტორისა: **Кутаисъ, редакція газ. „ЕРИ“** ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს დასაკვეთი ფულიც და სხვ. ივანოვის ქუჩა.

მიიღება ხელის მოწერა 1914 წ.
ყოველ-დღიურ საპოლიტიკო, საზოგადო საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთ
„ბათუმის დღე“-ზე
ხელის მოწერის ფასი

1 წლით.		½ წლით.	თვიურად.
ქალაქის ხელის მომ. . .	7 მან.	4 მან.	1 მან.
სხვა ქალაქებში	8 მან.	5 მან.	1 მ. 20 კ.
საზღვარ-გარედ	14 მან.	8 მან.	2 მან.

მისამართის გამოსაცვლელად ბათომიდან სხვა ქალაქებში 1 მან. ქალაქიდან ქალაქში— 50 კაპ.
რედაქციისა და კანტორის მისამართი: ბათომი, მარინის პროსპ. № 10
1610 რედაქტორ-გამომცემელი **ვლ. ვლ. სახნოვსკი.**

1914 წ. იანვრიდან ტფილისში გამოვა ყოველ თვიური
სამეცნიერო ჟურნალი
„ჩვენი სიძველე“.
ჟურნალში დაიბეჭდება წერილები (სპეციალური და პოპულარული) საქართველოს წარსულის შესახებ. ჟურნალი დასურათებული იქნება. ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი წარსულის საუკეთესო მცოდნენი. ჟურნალი გამოვა ყოველ თვის შუა რიცხვებში. ჟურნალის ფასი წლიურად 7 მანეთი, რომელიც შეიძლება შემოტანილ იქმნას ნაწილობით—ჯერ 3 მან., და შემდეგ ოროლი ჟურნალი ცალკე ნომრობით არ გაიყიდება.
ფულისა და კორესპონდენციისათვის **ადრესი:**
Тифлисъ. Высшіе женскіе курсы, Сергѣю Несторовичу Какабадзе.
ტფილისში ხელის-მოწერა მიიღება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ხოლო ქუთაისში „იმერეთის“ კანტორაში **ის. კვიცარიძესთან.**
1653 რედაქტორ-გამომცემელი **სარგის კაკაბაძე.**

საზღვარ-გარეთის კიმონო
რ. ა. პორტუგალოვისა
იუწყება, რომ კუკიის (ნიკოლოზის) ხიდზე (№ 23—24) არსებულმა
საქარხნო მაღაზიამ
მიიღო დიდ-ძალი **შეკერილი ტანისამოსი** მამაკაცების, ქალებისა და ბავშვებისათვის. მიღებულია აგრეთვე მამაკაცთა კოსტიუმები, ქალებისათვის ქვედა ტანი და ხალათები ცალკ-ცალკე.
ახლად მიღებულია. ძალიან იაფად, საქარხნო ფასებზე 30 პროცენტის დაკლებით, იყიდება სეზონიდან დარჩენილი საქონელი. იმედი გვაქვს, საქარხნო მაღაზიაში მყიდველნი კმაყოფილნი დაგვრჩებიან.
აქვე მიიღება ყოველგვარი შეკვეთა.
1632 პატივისცემით **რ. ა. პორტუგალოვისა.**
კიმონო

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი
„განათლება“
მიიღება ხელის მოწერა 1914 წლისათვის.
(წელიწადი მეშვიდე)
1914 წელში ჟურნალი „განათლება“ ჩვეულებრივად გამოვა ყოველთვის შუა რიცხვებში გარდა ზაფხულის ორის თვისა. ჟურნალში იბეჭდება წერილები, როგორც სწავლა-აღზრდის შესახებ, აგრეთვე მეცნიერების სხვა და სხვა დარგიდან და სიტყვა-კაზმულ მწერლობიდან; აქვს თვიური ჟურნალის ყველა განყოფილება, გამოვა ჩვეულებრივზე უკეთ დასურათებული. ჟურნალში მონაწილეობას იღებენ ყველა ჩვენი საუკეთესო მეცნიერები, მწერლები, პედაგოგები და პოეტები.
ჟურნალში არის ცალკე განყოფილება, სადაც იბეჭდება ყოველგვარი ცნობები ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და მისი განყოფილებათა მოქმედების შესახებ.
წლიური ფასი ჟურნალისა არის **ოთხი მანეთი** (4 მ.) მხოლოდ სოფლის მასწავლებლებს და სასოფლო სამკითხველოებს ჟურნალი დაეთმობათ წლიურად **სამ მანეთად,** საზღვარ-გარედ 6 მან. 1914 წ. ხელის მომწერლები მიიღებენ საჩუქრად: ილია ჭავჭავაძის, პესტალოცის, უშინსკის, რუსსოს და კომენსკის სურათებს.
ხელის მოწერა მიიღება ტფილისში: ქართულ გიმნაზიაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ივანე ავალიშვილთან. ქუთაისში ისიდორე კვიცარიძესთან, ბათომში ტრ. ინასარიძესთან და წიგნის მაღაზიო „განთიადში“, ამ ორ ადგილას და სამტრედიაში იყიდება ცალკე ნომრებიც, თითო 40 კაპ.
რედაქცია სთხოვს ხელის მომწერლებს დროზე დაიკვეთონ ჟურნალი.
მისამართი: **Тифлисъ Дворянская Грузинская Гимназія. Л. Г. Боцвадзе.**
რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე.**

უფლებიანი საფეხრო სკოლა და
საბუღალტრო კურსები
იმ:ნე ზაქარიას ძე ტერ-სტეფანოვისა
სკოლაში მეცადინეობა დაიწყება 8 იანვრიდან დილის 8 ნახ.—2 საათამდე. 15 იანვრიდან კურსების მეცადინეობა 1-ლ ჯგუფთან იწარმოებს 2 ნახ.—5 საათამდე. სამშაბათს სალამოს 7 ნახ.—10 საათ. იქვე იყიდება სახელმძღვანელონი **ბუღალტრიის შესასწავლად** უხელმძღვანელოდ.
მიხეილის ქ. სახლი № 17. 905.

1 კავკასიური
მეფუტკრეობის სამრეწველო
ა. დიუმა
თაფლი
ტფილისი, მიხეილის ქუჩა № 140. 1656.

კავკასიის შინა-მრეწველობის კომიტეტი იწვევს მსურველთ, ვისაც შეუძლიან მიაწოდოს მას **5000 ფუთი მატყლი,** შალეულის ქსოვილესათვის 1914 წ. ◆ წერილობით განცხადებანი, დაბეჭდილის კონვერტით შეიძლება წარმოადგინონ კომიტეტის კანცელარიაში (ტფილისი, მუშტაიდი), ყოველ დღე, კვირა-უქმის გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 ს.-დე. გადამწყვეტი საჯარო ვაჭრობა დანიშნულია 10 იანვარს, შუადღის 12 საათზე, კომიტეტის კანცელარიის ბინაზე. საჯარო პირობების გაგება და საჭირო მატყლის ნიმუშები შეუძლია მსურველმა ნახოს იქვე საქმის დროს. 893

სპერმინი
სპერმინ-პელი ერთად-ერთი ნამდვილი სპერმინი, ყოველ-მხრივ ნაცადია და მიღწეული ბრწყინვალე შედეგების წყალობით, მოწონებულია მთელი ქვეყნიერობის სახელგანთქმული მეცნიერების მიერ და მითი წამლობას ურჩევენ ნევრასტენიისა, სქესობრივი უძლურებისა, დაჩანაგებისა, ისტერიისა, ნევრალოგიისა, სისხლ-ნაკლებობისა, პლექისა, ათაშანგისა, ვერცხლის წყლით წამლობის შედეგებისა, გულის ავადმყოფობისა (სიმსუქნე, გულის ფრიალი, სკლეროზი, გულის ცემა და მიკორდიტი), არტერიო სკლეროზისა, ლოთობისა, ხერხემლის ძვლის გახმობისა, დამბლობისა, დაღლილობისა და სხვა ავადმყოფობის წინააღმდეგ. ყურადღება უნდა მიაქციოთ სათაურს:
სპერმინ-პელის,
და მოერიდეთ უფასო უვარგის მიბაძვას, ეგრედ-წოდებულს სათესლე ძალს, რომელნიც **სპერმინ-პელისთან** არც შემადგენლობით და არც მოქმედებით არავითარი საერთო არა აქვთ და ზოგიერთი რად **ჯანმრთელობისათვის საშიშ ნივთიერებას შეიცავენ. სპერმინ-პელი** აფთიაქებში იშოვება.
პროფესორი ექიმი პელი და შვილები, ს.-პეტერბურგი.
Поставщики Двора Его Императорскаго Величества.
Метцль. 111309. 1443
ავადმყოფებს!

მუდამ დღე მოგვდის
თევზის მრეწველნი
ძმ.
ძეგველოვები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 712.
ახალ-ახალი
მტკვრის თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი.
აგრეთვე იყიდება მაილოვის
ხიზილალა.
კოლოფით შიკა და ხმელი სოკო აგრეთვე ყოველ დროს იყიდება **მაღაზიაში მარხვის დღეში, იანი, ჭიპა, ზურგილები** და სხვა ყოველნაირი **თევზეულობა** და
კონსერვები.

ტფილისი, სტამბა „შრომა“ მუხრანის ქუჩა.